# სახალხო გაზეთი

№ 563 კვირა, 1 აპრილი, 1912 წ. № 563

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მათვარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პირადად შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

(სურათებიანი დამატება)

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


განსვენებულ **გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანცის ქვრივი და შვილები**

უგულითადეს მადლობას სწირავენ ყველა დაწესებულებათა და პირთ, რომელთაც პირადის დასწრებით, წერილობით თუ დეპეშით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას. (1—340—1)

---

დედა **კნეინა მარიამ სვიმონის ასული ფალავანდიშვილისა,** დები—**ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელი** და **კნ. თამარა გიორგის ასული ჯავახიშვილისა,** ძმები—**თ-დნი ივანე, დიმიტრი მეუღლით, ზაქარია ფალავანდიშვილები** და სიძე—**თ-დი ივანე დავითის ძე ჯავახიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 მარტს, საღამოს, გარდაიცვალა

**კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვრისა.**

ცხედრის გამოსვენება კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე ბინიდგან (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 3). ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალვა იქვე. (2.1182.2)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

**კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვარი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **და კნეინა სალომე გიორგის ასული** და **სიძე თ-დი როსებ თადეოზის ძე ამირაჯიბი შვილებითურთ.** ცხედრის გამოსვენება დღეს, კვირას, დილის 10 საათზე ბინიდგან (სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 3), ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე. (2.332.2)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

**კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვარი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **და კნეინა დარია გიორგის ასული** და **თავ. ნიკოლოზ ვასილისძე სუმბათაშვილი.** ცხედრის გამოსვენება დღეს, კვირას, 1 აპრილს დილის 10 საათზე ბინიდან (სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 3), ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქვე დაკრძალვა. (2.332.2)

---

30 მარტს, ღამით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

**კნეინა ანნა გიორგის ასული ამილახვრისა.**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: ნიკოლოზ, ივანე და რუსუდანი, ბიძა მიცვალებულისა—ალექსანდრე სიმონის ძე ავალიშვილი მეუღლით; მაზლები გიორგი და კონსტანტინე ივანეს ძენი თავ. **ამილახვრები,** მულები **სალომე, ბარბარე, და მარიამ ივანეს ასულნი კნ. ამილახვრისანი** და **სემო ივანეს ასული ბუდულოვისა და მარიამ გაბრიელის ასული კნ. ამილახვრისა.** ცხედრის გამოსვენება კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩ. № 3 ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (2—6—2)

---

**ნიკოლოოზ გიორგის ძე კლიმიაშვილი** მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის საყვარელი დედის

**სიდონია პაატას ასულის კლიმიაშვილისას**

და სთხოვს დაესწრონ დაკრძალვას **სოფელ რუისში** დღეს, პირველ აპრილს, ფერისცვალების ეკლესიის გალავანში. (1—336—1)

---

## ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებული 1910 წელსა).

15-დან 50 კაცისაგან შედგენილი და ახლად შეკერილ ქართულ ქულაჯებით გამოწყობილი, რომელიც ასრულებს ხალხურ სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, იღებს მონაწილეობას ქართულ კონცერტებში, მუსიკალურ დილა-საღამოებზედ, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვა, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. ამ გუნდთანვე არსდება **„ქართველ მუშათა გუნდი"-ც.** გუნდის მიწვევა-დაკვეთა **ერთი კვირით ადრე** და ახალ მომღერლების მიღება-ჩაწერა გუნდში იკითხეთ **მ. კავსაძესთან,** სამშაბათობით და ხუთშაბათობით საღამ. 5—6 საათამდინ. ავჭალის მოედანი № 11. (5.1163.4)

---

შეიძლება დაკვეთა: **ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). **ქუთაისში—ბ. ოცხელთან; სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან; სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის): Тифлисъ, Коргановская № 20, собств. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—3)

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 1 აპრილს 1912 წ. **გაბრიელ სუნდუკიანცის** ხსოვნის პატივსაცემლად ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის, კ. მესხის, დ. აწყურელის** და **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით ცნობილი პიესა

1 **პეპო** კომედია 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა. 2 **კიდევ ერთი მსხვერპლი** მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის დრამიდან.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **დასაწყისი საღ 8½ ს.** ადგ. ფასი ჩვეულებრივია
(2—1146—2) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

---

**ნაძალადევის თეატრი**

კვირას, 1 აპრილს 1912 წელს, აწ განსვენებულ **გ. ნ. სუნდუკიანცის სამახსოვროდ** წარმოდგენილი იქნება მისივე ცნობილი პიესა:

**პეპო**

კომედია 3 მოქმედებად.

ს. პ. სვიმონიძე წაიკითხავს გ. ნ. სუნდუკიანცის ბიოგრაფიას. დასაწყისი საღამოს 8 ს.
რეჟისორი: **ს. პ. სვიმონიძე.** (1—1100—1) მორიგი გამგე: **გრ. ჩარკვიანი.**

---

— **ზუბალაშვილების სახალხო სახლი** —

კვირას, 1 აპრილს, 1912 წ. **ექ. ლამბაშიძე** წაიკითხავს ლ ე ქ ც ი ა ს

**„მუშა კაცის ჰიგიენა"**

თავ. ი. ბარათაშვილი იმღერებს დუდუკზე და თარზე. ქ. გონსიორსკისა, დანი ბეშკენოვისანი, საგირაშვილი დაუკრავენ ციტრაზე, გიტარაზე და თარზე. ქ-ნი იუზბაშევისა, იზდიკოვსკი, ალ. კანდელაკი შეასრულებენ რუსულ-ქართულ რომანსებს. ს. მგალობლიშვილი, ფირუმოვი, ადამიძე, ანაშვილი, სალაყაია წაიკითხავენ: გლეხურ იმერულ, კინტაურ, სომხურ სცენებს. მატარაძე, ჯაბაური, ახოსპირელი, ქურიშვილი წაიკითხავენ ლექსებს. დასაწყისი 1 საათზე, ადგილების ფასი **5 კ.—50 კ.**
ბილეთები აღებული 11 მარტს გამოდგება დღეისათვის გამგე **მ. თუშმალოვი.**
1.338.1.

---

ქუთაისის გუბერნიის

# შავი-ქვის მრეწველთა საბჭო

## ჰნიშნავს კონკურსს.

საკონკურსოდ უნდა წარმოადგინონ გეგმა იმისი, თუ შავი-ქვის სარეცხ ქარხნების მიერ ქვის ნარეცხით წაბილწული მდ. ყვირილა როგორ უნდა გაიწმინდოს.

საუკეთესო გეგმის წარმომადგენელთათვის დანიშნულია

**ორი პრემია**

**პირველი —1500 მ.**
**მეორე — 500 მ.**

მოწონებული გეგმა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს **საკუთრებად რჩება.**

გეგმა უნდა გამოიგზავნოს რაიმე დევიზის წარწერით არა უგვიანეს 1912 წ. 20 ოქტ. შუადღის 12 საათისა, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს კანტორაში (ქუთაისში).

დაწვრილებითი ცნობანი ეცნობება ყველას ვინც კი ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილს განაცხადებს შავი-ქვის მრეწველთა კანტორაში (ქუთაისში) პირადად, ან ფოსტით. (2—1180—1)

---

# სავაჭრო სახლი
## ე. ი. ჭავჭანიძისა და ი. ი. მველესიანის

**ცალ-ცალობით გამყიდველ განყოფილებაში**

გოლოვინის პროსპექტი, სახლი ოქუევისა № 34.

კვირაცხოვლობის კვირაში **ფომინობას**

**აპრილიდან 7 აპრილამდე დანიშნულია დიდი ვაჭრობა, საზღაპრო იაფ-ფასად გაიყიდება მოდური სასამკაულო საქონელი:**

მზამზარეული თეთრეული ქალებისა და კაცებისა, ქოლგები, შეკერილი კოფთები აბრეშუმისა და კუწუბიანი, აბრეშუმის ქვედა ტანი, ჩულქეულობა, მამაკაცებისა და ბავშვების ყველანაირი ქუდები, კრახმალის პერანგები, გალსტუხები და აუარებელი სხვა ახალ-ახალი საქონელი.

ყველა საქონელს გადაჭრილი და უკანასკნელი ფასები ზედ აწერია. (5—537—1)

---

**ჭიათურის შავი-ქვის** მრეწველთა საურთიერთო ნდობის

**საბჭო**

იწვევს წევრთ, საზოგადო **წლიურ კრებაზე,** მიმდინარე წლის 8 აპრილს დ. ჭიათურაში, ადგილობრივ თეატრის დარბაზში, დილის 11 საათზე. **განსახილველი საგნებია:** ა) მოხსენება საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა ბ) წლიურ (1911 წ.) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება გ) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. დ) არჩევნები გამგეობის ორის წევრისა, საბჭოს ორის წევრისა და სარევიზიო კომისიის. (3—1164—2)

---

# ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—305)

---

გამგეობა

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა,** ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ: რომ მორიგი ჩვეულებრივი საზოგადო წევრთა წლიური კრება ბანკისა დანიშნულია 1 აპრილს ამა 1912 წელს ყვირილის საკრებულო დარბაზში დილის 9 საათზე.

**განსახილველი საგნებია:**

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 2) მოხსენება საბჭოსი ბანკის მდგომარეობის შესახებ. 3) მოხსენება გამგეობისა: ა) მ. გაჩეჩილაძის საბეჭდელი მანქანის შესახებ ბ) განმარტება სამინისტროს კანცელარიისა წიგნების დაშნურვის შესახებ. გ) წესდების მე 5 და 66 პარაგ. შეცვლის შესახებ. დ. საკუთარი შენობის შეძენის შესახებ. 3) მოსამსახურეთა მომატების შესახებ და ე) მოულოდნელი ხარჯების შესახებ.

4) დამტკიცება 1911 წლის ანგარიშსა. 5) დამტკიცება 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. 6) არჩევნები: ა) ორი საბჭოს წევრისა, ნაცვლად თ. ნანეიშვილისა და მელ. გაჩეჩილაძისა, ბ) ერთი გამგეობის წევრის ნაცვლად ილია მაღლაკელიძისა. გ) სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. დ) აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარის ტ. ნიორაძის განცხადება სამსახურზე თავის დანებებისა. (3—1173—3)

---

# ვისაც არა ჰსურს მოტყუვდეს,

ჩვენი პაპიროსების სყიდვის დროს,

**აერო** **ბოლო შეხვეული** 100 ც. 1 მ. 25 ც. 25 კ. 10 ცალი 10 კაპ. **და** 100 ცალი 60 კ. 25 ც. 15 კ. 10 ცალი 6 კაპ. **ბოლო ღია**

**შანტეკლერ** **ბოლო შეხვეული** 25 ც. 50 კ. 25 ც. 30 კ.

ყურადღება უნდა მიაქციოს საქარხნო მარკას და ჩვენს ფირმას, რომ ყალბი პაპიროსები არ მიიღონ, ტფილისში ცნობილ ჩვენი ქარხნის პაპიროსების მაგიერ.

სავაჭრო სახლი (არსებობს 1858 წლიდან)

## ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით.

მისი იმპერ. უდიდ. დიდი მთავრის
**ნიკოლოზ მიხეილის ძის**
იჯარადარნი.

(5.1175.2)

---

**საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ** **გაიხსნა** **ახალ პატრონთა ხელში გადასული**

# კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

**ღია იქნება ღამის 2 საათამდე**

11—1 საათ. 1—5 ს. 5—2 ს.
**საუზმე**—30 კ. **სადილი.** **ვახშამი**—30 კ.

**ყოველ დღე:** ლომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.
(თ.—113—19)

მეუღლე თეოდორა ალმასხანის ასული ცინცაძისა, შვილები, მიხა, გრიშა და ქეთევან, ბიძაშვილი განსვენებულისა, პავლე ცინცაძე, ცოლის ძმები, ალექსანდრე, მელქისედეკ, ბიქტორ, და ვასილი სიხარულიძეები, ბიძა ძაღუნა და ბესარიონ დოლიძენი, ნათლია ბავშვებისა გიორგი ცინცაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ოცდა თერთმეტ მარტს საღამოს ხუთ საათზედ გარდაიცვალა ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ

ივანე გაბრიელის ძე ცინცაძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე განსვენებულის ბინაზედ მოსკოვის ქუჩა № 2, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—7—1).

ყურადღება!
თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
ყურადღება მიაქციონ
ახლად გამოსულ პაპიროსებს
„ირის",
25 ცალი 15 კ. ჰ 10 ც.—6 კ.
საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
ყველგან იყიდება.
თამბაქ. ქარხანა
„ძმ. სეილანოვები",
ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.10)

გამოვიდა და იყიდება
ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების
სალიტერატურო კრებული
„გრდემლი"
ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.45)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება ქართველი მწერლების მოთხრობანი:

| | |
|---|---|
| არაგვისპირელი I . . . . 50 კ. | „ კახეთის ამბოხება. 60 „ |
| „ II . . . . 40 „ | ყაზბეგი. სრული თხზულებ. 3—50 „ |
| „ III . . . . 40 „ | ყიფიანი ს. წვრილი მოთხრ. 50 „ |
| „ შიო თავაფი . 60 „ | შიუკაშვილი. განგება ღვთისა 15 „ |
| არდაზიანი. მეჯღანუაშვილი. . 50 „ | ჩარხიშვილი. ცხოვრებ. ჰ სიყვ. 40 „ |
| გაბაშვილისა ეკ. . . . . 1—20 „ | „ ვარინკას ამბავი . 15 „ |
| ერისთავი დ. ვისი ბრალია? 20 „ | ცაგარელი. გიორგი, მიხეილ! 10 „ |
| ია ეკალაძე. მოთხრობები. . 1 | წერეთელი გ. I . . . . 60 „ |
| კლდიაშვილი დ. I . . . 75 „ | „ II . . . . 60 „ |
| „ II . . . 75 „ | „ III . . . . 70 „ |
| ლარიძე. დილარიანი. . . 2— | წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადას. 1 მ. |
| ალაქიაშვილი. შოთა ბროლიძე. 80 „ | ჭავჭ. ი. გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი?! ოთარაანთ ქვრივი, სახრჩობელაზე, მგზავრის წერილები, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, უცნაურ. ამბ. 77 „ |
| მგალობლიშვილი. მეველე, თ-დი მ იორნიძე, მთიული სოსე . 30 „ | ხუსკივ. თ. თხუზულებანი . . . 30 „ |
| მაჩხანელი. სოფლის კუნწულა 20 „ | „ ეკატ. ბატონიშვილი . 5 „ |
| ნინოშვილი ე. . . . . 1—50 „ | „ ლევან ბატონიშვილი. 10 „ |
| ფურცელაძე ა. ქიტესა . . 15 „ | ხევისუბნელი. ცხენის წურბელა 15 „ |
| „ მაცხვრია . 40 „ | |
| „ ასული ისრაელისა . 30 „ | |
| „ ჩვენებური საქმის ბოლო. 20 „ | |
| „ ბრძოლა... ანუ გ. სააკაძე და მისი დრო. . . 1— | |
| ფრონელი ა. მთიულეთი. . 40 „ | |

ბე უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—16)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა
ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—189)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.
პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერით.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ვ ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.
არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე $9^1/_2$ სათ. 11 ს.
მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. $1^1/_2$—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—1 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.
იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. 10—1 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—69).

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 270)

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი
ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.—1129—29).

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა 606
(წლ.—1018—240)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—68.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლოანოვის ქ., № 20. (წ.—1022—21).

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიქანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 134

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).
(თ. 1084.126)

აგენტი ი. მ. მიქელაიშვილი
იღებს ხელის-მოწერას როგორც ადგილობრივ ისე სხვა ქალ. ჟურნალ-გაზეთობაზე, აგრეთვე სასტამბო საქმეებს; არის აგენტად განცხადებათა შესაკრებად სააქციონ. საზ. „ანონსი"-სა, რკინ. გზ. და სანავოსნო სადგურებზე და ტრამვაიებში პლაკატების გასაკრავად. პირადად იღებს ყოველ დღე, დილ. 8—9 ს. ადრესი: მიხეილ. პრ. № 5. (5.1172.4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.
მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—5)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.81).

ექიმი კბილისა არჩილ (გიორგი) ბ-ძე დოლიძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, ელისაბედის ქუჩა № 166. (25.1179.5)

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1967. (100—1117—130).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—60)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

# ტფილისი, 1 აპრილი

**მ. მაჩაბელი და მისი საპროგრამო ცდა.** ბ. მ. მაჩაბელმა ქართულ ნაციონალურ ინტერესების დაცვის პროგრამაზე დაიწყო ლაპარაკი (Закавказье № 70).

მადლობა ღმერთს! უპროგრამო ხეტიალს, პროგრამით განსაზღვრული მოქმედება ყოველთვის სჯობია. მაგრამ პროგრამა არც პოეტურ ალმაფრენის ნაკვესია, არც საპოლიტიკო ფრაზეოლოგიის გაკვეთილი. პროგრამაში ძირითად საჭირბოროტო საგნებზე გარკვეულ პასუხის ადგილს ვერც მომხიბლავი პოეტური შედარება დაიჭერს, ვერც დიპლომატიური სიტყვის ბანზე აგდება. რა თქმა უნდა, ბ-ნი მაჩაბელი თავის **პირველს** საპროგრამო წერილშივე ერთის კალმის მოსმით ვერ გამოამჟღავნებდა მთელს თავის საზოგადოებრივ განწყობილებას, და ამიტომ არც ვუკიჟინებთ მას პროგრამის ნაკლებობას, მაგრამ ამ ნაკლებობის აღნიშვნა კი მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, რათა ხელი შეუწყოთ მის ლოღიკურს დასრულებას.

კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა. ის საზოგადოებრივი აზროვნება, რომელიც ბ. მაჩაბლის საპროგრამო წერილში იჩენს თავს, ამ თავად-აზნაურულ მოღვაწის საკუთრებას არ შეადგენს. პირიქით იგი უხვადა აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი ქართველ ხალხის უმაღლეს წრეებს, რომელიც შეუგნებლივ მისდევს მას. შეუგნებელ საზოგადოებრივ მიმართულების გაცნობიერებას კი პრესსა ყოველთვის თავის უპირველეს დანიშნულებად უნდა სთვლიდეს.

მთავარი ძარღვი ბ. მაჩაბლის ქართულ ეროვნულ ინტერესების დაცვის პროგრამისა სრულიად გარკვეულად არის გამოხატული მის შემდეგს სიტყვებში: „მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ნაციონალური ინტერესები **არც წარსულში და არც აწმყოში არ განსხვავდებოდნენ და არ განსხვავდებიან არაფერში** (კურსივი მაჩაბლისაა) არც სახელმწიფოს მიზნებისაგან და არც რუსის ხალხის ნაციონალურ ინტერესებისაგან". ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს მე-XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზრის ისტორიას, ის ცხადად დაინახავს, რომ ბ. მაჩაბელი ქართულ ეროვნულ ინტერესების დაცვის საკითხს ერთის მხრივ იმავ ნიადაგზე აყენებს, რომელზედაც ყოველთვის აყენებდნენ მას 1801 წლიდან ქართველი მოღვაწეები, და მეორეს მხრივ ამ საკითხზე იმავ პასუხს იძლევა, რომელსაც იძლეოდნენ პოლიტიკურ რომანტიზმით გამსჭვალული მოღვაწეები სოლომონ დოდაშვილიდან დაწყობილი ეპისკოპოს გაბრიელამდე, დიმიტრი ყიფიანამდე და ილია ჭავჭავაძემდე. მთელი წყობა ქართველ მოღვაწეებისა სრულის ერთის საუკუნის განმავლობაში რიგრიგად იმეორებდნენ ერთსა და იმავე აზრს: „ანდერძი ჩვენი მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიისა ერთგულებაა ღმერთისა, ერთგული ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულმოდგინეობა მამულისათვისაო".*) მისტიური ცნება ისტორიის და მამა-პაპათა **ანდერძისა** აღნიშნავდა იმ უცნობსა და იდუმალს ძალას, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ აზროვნებას. რა სახით და რა ფორმით შეიძლებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესების და ქართულ მამულიშვილობის შეთანხმება, ამაზე თითქმის არავინ არა ფიქრობდა. ეს შეთანხმება მე-XIX საუკუნეში პრობლემა კი არ იყო, არამედ ყოველგვარ კრიტიკისაგან უზრუნველყოფილი დოგმატური მრწამსი. ამიტომ ამ თანხმობას მე-XIX საუკუნის მოღვაწენი მხოლოდ მაშინ გაიხსენებდნენ ხოლმე, როდესაც ილახებოდა ეროვნულ სიამაყის გრძნობა. იგონებდნენ არა იმიტომ, რომ კრიტიკულად გადაეშინჯათ ეს დოგმატური საფუძველი თავის საზოგადოებრივ განწყობილებისა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ განეცხადებინათ თავისი კეთილშობილური აღშფოთება, როგორ შეიძლება ჩვენის ეროვნულის ინტერესების შელახვა, როდესაც ჩვენი მამულიშვილობა და რუსეთის იმპერიისადმი ერთგულება განუყრელ არიანო. რაც ფსიხოლოგიურად იყო გაერთიანებული მათ სულსა და გულში, ის იმათ ნამდვილ პოლიტიკურ ფაქტად მიაჩნდათ. აქედან ფსიხოლოგიურის აუცილებლობით წარმოსდგებოდა მე-XIX საუკუნის მოღვაწეთა საყვედური იმ ადგილობრივ მოხელეთა მიმართ, რომელნიც ვითომ თავის უტაქტო მოქმედებით არღვევდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივს და ქართველ ხალხის ნაციონალურ ინტერესების ჰარმონიას. რა თქმა უნდა ეს მისტიური რწმენა ჰარმონიულ მთლიანობისა როდისმე ისე მკაცრად დაუპირისპირდება სინამდვილეს და პოეტური ჰარმონია სასტიკ ტრაგედიად გადიქცეოდა. სწორედ ასეც მოხდა. 1886 წელს ერთ-ერთი უშესანიშნავესი მოღვაწე მე-XIX საუკუნისა, დიმიტრი ყიფიანი, სწორედ ამ ნიადაგზე ჩავარდა ტრაგიკულს მდგომარეობაში. დიმიტრი ყიფიანი გაჰკიცხეს და გააძევეს სამშობლო ქვეყნიდან სწორედ იმიტომ, რომ ის შეურყეველი დამცველი იყო ქართულ ეროვნულ ინტერესებისა, თუმცა ამავე დროს არა ნაკლებ შეურყეველი მიმდევარი იყო რუსეთის სახელმწიფო ინტერესების ერთგულ სამსახურისა.

საგულისხმო მოვლენაა, რომ ბ. მაჩაბლის საპროგრამო წერილში ერთბაშად ვხედავთ ყველა იმ ელემენტებს, რაც კი დამახასიათებელია მე-XIX საუკუნის ქართულ აზროვნებისთვის, და **მხოლოდ ამ ელემენტებს.** აი, თვით ბ. მაჩაბლის სიტყვები. „ქართული ნაციონალური ინტერესები ყველგან და ხალხის ცხოვრების ყოველ სფეროში იგივე არიან რაც საერთო რუსული ინტერესები, და ამიტომ **ბედნიერად მოწყობილ** ორ ძმა ეროვნების **ისტორიულ პირობების** გამო, სახელმწიფო მოღვაწეთ თამამად, უშიშრად და უხიფათოდ შეუძლიანთ უცქირონ ქართველ მოღვაწეებს, როცა ეს უკანასკნელნი გულწრფელად და პატიოსნურად ემსახურებიან ქართულ ნაციონალურ ინტერესებს" (კურსივი ჩვენია). როგორც მკითხველი ჰხედავს, ბ. მაჩაბელს ისევ ძველებურად ასაზრდოვებს მისტიკური რწმენა, რომ ისტორია ბედნიერად მოეწყო და საერთო რუსული და ქართული ნაციონალური ინტერესები ყველაფერში საუცხოვოდ ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ მათ შორის სრული ჰარმონია სუფევს. „ეს ჩვენი ღრმა რწმენაო—განაგრძობს ბ-ნი მაჩაბელი, გადაქცეულია ჩვენთვის თავისებურ **მრწამსად** (вѣра), რომელიც არასოდეს სამშობლოს ცხოვრების არც მხიარულს და არც მწარე დღეებში არა გვტოვებდა ჩვენ და ყოველთვის ჩვენი ხელმძღვანელი პროგრამა იყოვო". ამ დოგმატურ, სარწმუნოებრივ მრწამსის მიუხედავად ბ. მაჩაბელმა იცის, რომ ნამდვილად 1801 წლიდან მოკიდებული დღევანდლამდე ქართული ნაციონალური ინტერესები ერთხელ და ორჯელ არ შელახულა, მაგრამ ისე, როგორც მე-19 საუკუნის მოღვაწენი, ბ. მაჩაბელიც ამ უსიამოვნო ექსცესსების მიზეზად ამ გარემოებას სთვლის, რომ „დიდი უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის მმართველებისა და ახალი (საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ) მოვლენილი კლასი მმართველ მოხელეებისა გაცნობილი არ იყვნენ და არ იცნობდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, იმის მდიდარ საეკლესიო და საერო ლიტერატურას, იმის თავისებურ კულტურას და განსაკუთრებითს ქართულს ქრისტიანულ მსოფლმხედველობასო". მაშასადამე, ჰარმონიის დამარღვეველნი უვიცი და უტაქტო რუსის მოხელეები არიან, თავის თავად კი რუსეთის სახელმწიფოს დანიშნულება და მიზანი ისე ბედნიერად შეუხმატკბილებია ისტორიის ჩარხს ქართულ ნაციონალურ ინტერესებისთვის, რომ ბ. მაჩაბელს ეს ჰარმონია არასოდეს არ ავიწყდება არც ჭირში და არც ლხინში.

ეს ძველის ძველი, ას წლოვან ხავსით აბიბინებული პროგრამა ნაციონალურ ინტერესების დაცვისა, თავის დროს, როცა იგი პირველად დაიბადა მეფე ერეკლეს დროინდელ მოღვაწეთა გონებაში, გაცილებით ნაკლებს გულუბრყვილობას შეიცავდა, ვიდრე ეხლა ბ-ნ მაჩაბლის ხელში. ერეკლეს დროინდელმა ქართველმა მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ ლითონი სიტყვა ინტერესების თანხმობისა თავის თავად არ უზრუნველჰყოფდა საქართველოს ხალხის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას რუსეთის სახელმწიფოსთან ერთად და ამიტომ სცდილობდნენ საქართველოს შეერთება რუსეთთან იმ გვარ ურთიერთობის ფორმაში ჩამოყალიბებულიყო, რომელიც ერთის მხრივ საერთო ინტერესების მისაღწევად საერთო მმართველობას დაამყარებდა, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს საკუთარ ადგილობრივ ინტერესების დასაცველად ქართველ ერს განსაზღვრულ ფარგალში თვითმმართველობას ანუ ადგილობრივ მმართველობას შეუნარჩუნებდა. მე-XIX საუკუნეს საქართველო, უზომოდ დაუძლურებული ფიზიკურად და რელიგიოზურ მისტიციზმით გამსჭვალული, მაინც ანგარიშს უწევდა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების რეალურ მომენტებს. მე-XIX საუკუნე, რუსეთის ძლიერებით აფრთოვანებული და ახალ ევროპიულ კულტურის გავლენით დამთვრალი, მცირედის გამონაკლისით სერიოზულად და ღრმად არც ეროვნულ განვითარების უზრუნველყოფაზე ფიქრობდა, არც მომავლის პერსპექტივებს ითვალისწინებდა. საერთოდ უდარდელი და უზრუნველი მე-XIX საუკუნეს საქართველო კმაყოფილი იყო ქვეყნად დამყარებულ მშვიდობიანობით და ლაღად ჰგრძნობდა თავს იმ ოცნების კოშკში, რომელშიაც თავის თავად უნდა განხორციელებულიყო მისტიური კავშირი სახელმწიფო და ქართულ ნაციონალურ ინტერესებისა. რა დანიშნულებას ემსახურებოდა რუსეთის სახელმწიფო მ-XIX საუკუნეში—ეს მაშინ, რუსეთის პოლიტიკურ წესწყობილების მიზეზით იდუმალებით იყო მოცული. ქართველ მოღვაწეებს [illegible] არ უშლიდა ხელს თავისებურად წარმოედგინათ [illegible] და ამგვარად [illegible] კი ინტერესების ჰარმონიისა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. დღეს არც ერთს მოღვაწეს არ ეპატივება განზრახ დაუხუჭოს თვალი რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების სინამდვილეს და უნიადაგოდ იოცნებოს მისტიურ ჰარმონიაზე. ვისაც ყურნი აქვს სმენად და თვალნი ხილვად, არ შეიძლება არა ჰხედავდეს, რომ ჩვენს დროში რუსეთის სახელმწიფოს თავის მიზნად და დანიშნულებად სრულებით ის საერთო და ნაციონალურ ინტერესების შეთანხმება არ მიაჩნია, რომელზედაც ამყარებს თავის პროგრამას ბ. მაჩაბელი. მოიგონეთ, რამდენი ახალი კანონი გამოიცა უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში რუსეთში მცხოვრებ არა რუსთა შესავიწროვებლად და ისე ბრძანეთ, რუსეთის საერთო სახელმწიფო ინტერესები და ქართული ეროვნული ინტერესები ერთ სულ და ერთ ხორც არიანო. ან იქნება ბ. მაჩაბელს ჰგონია, რომ რუსეთის საერთო ინტერესები განიმარტება და ირკვევა არა სახელმწიფო კანონმდებლობით და მთავრობის მოქმედებით, არამედ იმით, თუ რას იტყვის ამის შესახებ თვით ბ. მაჩაბელი?..

ბ. მაჩაბელი ნაღვლიან ცრემლს აფრქვევს, ჩვენი სახელმძღვანელო იდეის სიმართლე ბევრს არ ესმის და უარჰყოფსო. მაგრამ ცრემლთა ფრქვევას სად და როდის აუშენებია ქვეყანა? ამ ცრემლთა ფრქვევას და დაუსაბუთებელ საყვედურს ქართველ ინტელიგენციის და პრესის მიმართ, ქართულ ცხოვრებას არ იცნობენო, განა ის არ ემჯობინება ბ-ნმა მაჩაბელმა ოდნავ შეიწუხოს თავი და გვამცნოს, რას ეძახის ის ქართულ ნაციონალურ და რუსეთის საერთო ინტერესებს? პირადებით ამ ინტერესთა თანხმობის გამოცხადება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმეა, მაგრამ თითონ ბ. მაჩაბლისთვის მიგვინდვია დაუსაბუთებელ პროგრამების დაფასება.

იქნება ჩვენი შენიშვნები ბ. მაჩაბლის პროგრამის შესახებ ისე გაიგოს ვინმემ, ვითომ ჩვენ შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნდეს სახელმწიფოს საერთო ინტერესების შეთანხმება ქართულ ნაციონალურ ცხოვრების მრავალფერ საჭიროებასთან. დიდი შეცდომა იქნება. პირიქით, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს შეთანხმება შესაძლებელია და აუცილებელი, მაგრამ ამ შეთანხმებისთვის ადგილობრივ და საერთო ინტერესების ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმაა საჭირო, ბ-ნ მაჩაბელს კი ჰგონია, პროგრამაში ჩავიწერ ამ თანხმობას, გამოვაცხადებ მას ხელმძღვანელ იდეად და ამით ყველაფერი დასრულდებაო. ის, რაც ჩვენის შეხედულებით, პრაქტიკულ და პოლიტიკურ ცხოვრების პრობლემაა, რის განხორციელებაც უზომო ენერგიას და შრომას მოითხოვს, ის ბ. მაჩაბელის პროგრამაში უცივ-უცხელებლად პირდაპირ არსებულ ფაქტად არის აღიარებული. გამიგონია, ფიქციების ე. ი. ტყუილების დახმარება რაიმე წმინდა თეორიულ კონსტრუქციების ასაშენებლად, მაგრამ ფიქციების გადაქცევა ეროვნულ ნაციონალურ ინტერესების პროგრამის ქვაკუთხედად და ხელმძღვანელ იდეად კი პირველად მესმის. სწორედ დიდი გაბედულება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამისთანა „ტყუილებზე" დაამყაროს თავისი სამოქმედო პროგრამა და ამასთან მედიდურად უკიჟინოს მთელს პრესას და ინტელიგენციას, ცხოვრებას არ იცნობო.

*) ეს სიტყვები ეკუთვნის თავ. ბაგრატიონ მუხრანსკის, ტფილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლს. წარმოთქმული იყო 1887 წელს. (თხზულება არჩილ ჯორჯაძისა, წ. II გ. 157.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს ქალაქის საბჭოში წინადადება შეაქვს, ერთდროულად ფული მიეცეს **გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს** იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც მოსდის უძრავ მამულების შეფასების გამო აღძრულ საჩივრების შემოწმებაში. ამ წინადადებას ქალაქის საბჭო 2 აპრილს განიხილავს.

✦ **ლექცია.** დღეს, 1 აპრილს, სახალხო სახლში მოსე ჯანაშვილი ქართულს ენაზე წაიკითხავს მეოთხე ლექციას შემდეგს თემაზე: „ქართველთა რწმენანი". ლექცია დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე.

✦ **საფსიხიატრო საავადმყოფო.** სახალხო ჯანმრთელობის კომისიამ ქალაქის გამგეობასთან ერთად საფსიხიატრო საავადმყოფოს შენობის პროექტი განიხილა. გადასწყდა, ნავთლუღში, ძველ სალახანის ადგილას, აგოს 200 საწოლიანი საავადმყოფო სულით ავადმყოფთა თავშესაფარად. თუ ამ გადაწყვეტილებას საბჭო მოიწონებს, მაშინ გამგეობა დაწვრილებით პროექტსა და ხარჯთ-აღრიცხვას შეადგენს.

✦ უგანათლებულესი თავადის ქალს თამარა იმერეტინსკაიას უმაღლესად ებოძა ფრეილინობა მათ უდიდებულესობა ხელმწიფა იმპერატრიცებთან.

✦ **ორ-ცოლიანი.** ამ შვიდის თვის წინად ტფილისში ქუთაისის გუბერნიის სოფელ ხალიფაურის მცხოვრებმა ვიქტორ ჩუბინიძემ ჯვარი დაიწერა ავეტიკ ივანმაგოვის ქალზე, ბარბარეზე. ახლა გამოირკვა, რომ ჩუბინიძეს ამ 8 წლის წინად ჯვარი დაუწერია ეკატირინე კვესტაძეზე, მასთან კანონიერად არ განქორწინებულა და ისე ხელ-მეორედ ჯვარი დაუწერია. ჩუბინიძე შეიპყრეს, ორ-ცოლიანობაში გამოტყდა.

✦ **ქალაქის სპეციალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვას** საფინანსო კომისიის დასკვნით ქალაქის საბჭო ორშაბათს, 2 აპრილს განიხილავს.

✦ **პურის ახალი ნიხრი** გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. გირვანქა ფურნის პური ეღირება: პირველი ხარისხისა—4½ კაპ., მეორე— 4 კ. მესამე—3½ კ. არჟანოვისა—2½ კ. თორნის პური: პირველ ხარისხისა—4½ კ. მეორე—4 კ. მესამე—3½ კ. ლავაში; პირველი ხარისხისა—5 კაპ. მეორე ხარისხისა—4½ კაპ.

✦ ხმოსანმა მიტკევიჩმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომელშიაც წინადადებას აძლევს, საბჭომ მადლობა გამოუცხადოს ყველა იმათ, რომელნიც მომხრე აღმოჩნდნენ საუღელტეხილო გზის გაყვანისა. ეს განცხადება გამგეობას საბჭოში შეაქვს განსახილველად.

✦ **ქართველ ქალთა სამკერვალო სკოლაში** დღეს დილა გაიმართება.

**მაჰმადიანთა სახალხო სახლის** კურთხევა დღეს მოხდება.

✦ **მოხუცებულ და დაუძლურებულ ვაჭართა თავშესაფარისთვის** ვაჭარმა ს. ს. გულიევმა ადგილი შესწირა, რომელსაც დღეს ვაჭართა წარმომადგენელნი და არქიტექტორები დაათვალიერებენ ვაჭართა მამასახლისის ა. ნ. მილოვის მეთაურობით.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 30 მარტს, დილის 10 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა სვიმონ მარკინმა ნიშადურის სპირტი დალია. მოწამლული საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ 30 მარტს „უგოლნი“ ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს მდედრობითი-სქესისა, დაახლოვებით ერთის თვისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 30 მარტს ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **„ესპერანტო“-ს საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, 20 მაისს დღესასწაული გადაიხადოს ესპერანტულ ენის არსებობის 25 წლის შესრულების გამო.

## სომეხთა ცხოვრება.

✦ ახალ-ნახიჩევანის ხომხის საზოგადოებას 300 მანეთი გადაუდვია გ. სუნდუკიანის სახსოვრად სომხურ თეატრის ასაშენებლად დაარსებულ ფონდისათვის. ამავე საზოგადოებას 300 მანეთი შეუწირავს „მშაკის“ ფონდისთვის.

✦ „მშაკის“ რედაქციას და განსვენებულ გ. სუნდუკიანის ქვრივს და შვილებს დღესაც მრავალი სამგლოვიარო დეპეშები მოსდით სხვა და სხვა ადგილებიდან.

✦ მოსკოვიდან ტფილისს დაბრუნდა „მშაკის“ რედაქტორი ალ. ქალანთარი, რომელმაც ძმ. ჟამპაროვების ხარჯით სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ მოლაპარაკება ჰქონდათ ძმ. ჟამპაროებთან, ამ სკოლაში სწავლა შეუძლიათ ყველა კავკასიელებს, განურჩევლად ეროვნებისა. სწავლა გარდა რუსულ ენისა, იქნება ადგილობრივ სხვა ენებზეც. წესდება უკვე შემუშავებულია.

✦ გაზეთ „მშაკში“ ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება კოტე ყიფიანის მოგონებანი გ. სუნდუკიანცის შესახებ.

## ჭიათურა.

✦ შავი ქვის საბჭომ სამოქალაქო სასწავლებლის ერთ ოთახში მოაწყო პატარა ეკლესია. პირველი წირვა იყო 25 მარტს, წმ. აღდგომას. წირვაზე ცნობილი მოძღვრალის ბ. ალექსანდრე კავსაძის ხელმძღვანელობით მშვენივრად გალობდა მოწაფეთა გუნდი. წირვაზე სასწავლებლის მოძღვარმა მ. ბარათაშვილმა სახარება სლავიანურ ენაზე წაიკითხა.

# ქუთაისის აჯ-პარჯი.

გაუთავებელი ლაპარაკი და დავა წყლის გამოყვანის თაობაზე ქუთაისში, მგონი, დასრულდა. მგონის იმიტომ ვამბობ, რომ საფიქრებელი ეხლა დადიანისა და კანცელის მოქმედებაა. როგორც ირკვევა, ისეთი პირობით მიუღიათ თავის თავზე წყლის გამოყვანა, რომ არც ერთი ფრთხილი კაპიტალისტი ფულს არ ჩაჰყრის მათ საქმეში, და ხოლო უფულოდ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კურთხეული ქუთაისიც გამოიყვანდა წყალს და სხვებს აღარ მიჰმართავდა. ამას, რასაკვირველია, მალე დავინახავთ, როცა ქალაქი კონცესიონერებს მოსთხოვს პირობის დაწერას და ამასთან დამოკიდებულ საწინდარ ფულს. ვიმეორებ, მაშინ დავინახავთ საჩვენო პირი აქვთ მათ, თუ ისინიც პირს გვიბრუნებენ.

ახირებული საქმე კი დაგვემართება, მართლა, თუ კანცელმა და დადიანმა ფული ვერ იშოვეს და წყლის გამოყვანის საქმეზე თავიდან დავიწყეთ ლაპარაკი! ნეტავი რას იტყვის პატივცემული ხმოსანი მოსე ქიქოძე, რომლისთვისაც ხანგრძლივ ცხოვრებას ქვეყანაში დაუნახვებია, რომ ჩვენ (იგულისხმე ქართველები) ფული არა გვაქვს, არ გვაქვს ცოდნა და, რაც უფრო უარესია, არა გვყავს პატიოსანი კაცები. უკედ რომ ვთქვათ, ბ-მა მ. ქიქოძემ, ისეთი ატესტატი მისცა ჩვენ ხალხს, რომ ჩვენ მტერ მოყვარეთაც კი გაუძნელდებოდა ჩვენი ასეთი დახასიათება. როცა ბ-ნ მოსეს დახასიათებამ პროტესტი გამოიწვია ექიმ ნაზაროვისა და ქორქაშვილის მხრით, ბ-მა ქიქოძემ თითქო შეინანია თავისი შეცდომა და თავისი სიტყვა იმ მხრით განმარტა პატიოსან კაცების არსებობის უარისმყოფელი არა ვარ ჩვენშიო, მაგრამ ისინი სანთლით საძებარნი არიანო.

საზოგადოდ ბ-ნ ქიქოძეს უკანასკნელ ხანებში ნახტომი ეშლება. ჩვენ დავესწარით ყვირილის ბანკის ძველ მოღვაწეთა საქმის გარჩევას. ბ-ნი **მ. ქიქოძე** მხარს უმშვენებდა ბრალმდებელს და იცავდა ბანკის ინტერესებს. ეს რასაკვირველია, ცუდს არაფერს წარმოადგენს, რომ ყვირილის ბანკის, ეგრედ წოდებულ მოღვაწეებს მიზანში ამოღებული არა ჰყოლოდათ ბ-ნი იოსებ გუნცაძე, რომელსაც სწამებდნენ 6000 მანეთის მითვისებას. აი ეს ბრალდება უნდა დაედასტურებინა ბ-ნ ქიქოძეს მას შემდეგ, როცა ბ-ნ გუნცაძის პირადი მტრები—იგივე ყვირილის ვაჭრები, რომლებიც ბანკის საქმეებს განაგებენ, აღიარებდენ, რომ გუნცაძე პატიოსან კაცად მიგვაჩნია და საეჭვოა მას მიეთვისებინა ჩვენი ფულიო. ბ-მა ქიქოძემ კი მთელი თავის მჭერ-მეტყველება მოიხმარა მისთვის, რომ დაემტკიცებინა—გუნცაძემ ბანკის ფული მიითვისაო, თუმცა იქვე ჩაურთო, გუნცაძე მიყვარს და პატივსა ვცემო. მკითხველისთვის მიმინდვია გამოიცნოს, რა ნაირად შეიძლება ქურდი ვუწოდო კაცს და თან პატივსაც ვცემდე. კიდევ კარგი, რომ მსაჯულებმა ბ-ნი ქიქოძის თვალით არ შეხედეს საქმეს და ბ-ნი გუნცაძე გაამართლეს, თორემ ბ-ნი ქიქოძის საყვარელსა და პატივსაცემ კაცს ტუსაღთა როტაში ამოაყოფინებდა თავს.

***

**ბაგრატის ტაძარი** უძვირფასესი განძია ყოველი ქართველისათვის და მას, როგორც ასეთს, სხვაზე მეტად უნდა აფასებდენ ისინი, ვისაც ჩაბარებული აქვს მისი დაცვა. როდესაც კი ავსულვარ ამ საისტორიო ნაშთის სანახავად, ყოველთვის გულამღვრეული წამოსულვარ იმ პირთა მიმართ, რომელთაც სულ ახლო წარსულში შეძლება ჰქონდათ დაეცვათ ეს უძვირფასესი ნაშთი ჩვენი წარსულისა და ხელიც კი არ გაუნძრევიათ მის შესანახად, მაგრამ რაც მოხდა იმას ვეღარაფერს ვუშველით. ეხლა რაღა ღმერთი გვიწყრება, რომ იმდენი შეგნება, წარსულის პატივისცემა არა გვაქვს, რომ ბაგრატის ტაძრის ეზო სასაფლაოდ გავხადეთ. ნუ თუ სხვა ადგილი არსად არის, რომ ამ ტაძრის ეზოში ჰმარხავენ მიცვალებულებს. ფულს გვაძლევენო,—მეტყვიან ისინი, ვისაც უფლება აქვს დასაფლავების ნებართვის მიცემისა. ამასა ჰქვიან ერთი ხელით კეთება და მეორით დანგრევა. თუ ამდენი შეგნებაც არა გვაქვს, რომ ისტორიული ნაშთის ეზო სასაფლაო ადგილად არ გარდავაქციოთ, რაღა დაგვიშლის, რომ იგივე ადგილი ფულის გულისთვის რაიმე გასართობ ადგილად გადავაქციოთ.

**ორი გაზეთი** გვქონდა და ეხლა ერთიც აღარა გვაქვს. ამ ერთი წლის განმავლობაში ქუთათური ისე მიეჩვია გაზეთს, რომ ეხლა ეხამუშება უგაზეთობა. როგორც ამბობენ ცდილობენ ცალ-ცალკე წრეები გაზეთის გამოცემის ნების მიღებას, მაგრამ სატუსაღოში მყოფი ორი რედაქტორი შიშის ზარსა ჰგვრის ყველას და რედაქტორობას ვერავინ ტვირთულობს. შენი მტერია ჩვენი საქმე თუ ასე გაგრძელდა ჩვენს ქვეყანაში გაზეთის სახელი გადაშენდება და მაშინ უყურე ერთი ჯურის ხალხის კმაყოფილებას.

# მდინარის მსხვერპლნი.

(წერილი ქართლიდან).

აღდგომის შაბათს, ე. ი. 24 მარტს, ტფილისიდან ს. კასპს ამოსულან ს. ოძისის მცხოვრებლები: დედა, გათხოვილი ქალი, ოთხი წლის ბავშვი (ქალი) **ფარჩუკაშვილები** და ერთიც ქმრიანი ქალი პავლიაშვილისა. მათ კასპის სადგურზე ურმით დახვედრიან ბებრის სიძე და გათხოვილი ქალის ქმარი. საათის 12-ზე შუადღისას კასპიდან გამგზავრებულან ოძისისაკენ. მათ ს. ალამისყანში დაჰღამებიათ; ნათესავებს უთხოვნიათ ღამის გათევა, რადგანაც მდ. ქსანი წვიმების გამო ძლიერ ადიდებული ყოფილა. მგზავრებს უარი განუცხადებიათ და გასდგომიან გზას. როდესაც მისულან მდ. ქსნის ნაპირას, კაცები შეშინებულან, იმ ბნელ ღამეს წყალში შეუძლებელია ყოფილა გასვლა. ბებერს ჩხუბი აუტეხნია კაცებისათვის, რაღა კაცებ ხართო ამ წყალშიაც კი ვერ გაგიბედნიათ გასვლაო. მე ვერას გზით ვერ დავრჩებიო გაუსვლელი, რადგანაც ლიტონიაზე მინდა დავესწროვო. ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ, კაცებსაც გაუბედნიათ გასვლა. იმ ღამეს ქსანი ორ ტოტად ყოფილა გაყოფილი, პირველ ტოტში ურემი მშვიდობიანათ გაუტანიათ, მეორე უფრო პატარა ტოტში რომ შესულან, საქონელს ვერ აუტანია ურემი დაუქვევითებია, წყალს ძალა დაუტანებია და გადაუბრუნებია ხალხით სავსე ურემი. საქონელს თავის თავისთვის უშველნია, კაცები ბევრი წვალების შემდეგ ძლივს გამოსულან ცოცხალ-მკვდარი; **სამი დედაკაცი და ერთი ქალი წყალს უმსხვერპლნია.** ეს ამბავი რომ გაიგეს სოფელში, მთელი ოძისი ფეხზე დადგა, ვიღას ახსოვდა ლიტონიობა, ყველანი ჩაცვივდნენ წყალში, დაუწყეს მკვდრებს ძებნა. იმ ღამეს იპოვეს დედა და მისი შვილის შვილი, მხოლოდ აღდგომის დილას იპოვეს 2 ქმრიანი ქალის გვამიც. ბარგიც წყალს წაეღო. 24 მარტს ოძისში დაასაფლავეს ხუთი ცხედარი, ერთი იქაური მღვდლის 12 წლის მოსწავლე ქალი, ორი დედაკაცი და ერთი ბავშვი ერთ ოჯახიდან, და ერთი დედაკაცი მეორე ოჯახიდან. აღდგომის დღეს სოფ. ომისელებმა იგლოვეს მთელი დღე, ყველას ნამტირალევი სახე ჰქონდა.

კარგი იქნება ამისთანა უბედურობის თავიდან ასაცილებლად, წყალდიდობის დროს თითო ყარაული მაინც ყოფილიყვეს დაყენებული, როგორც იციან ზაქათალის ოლქში. იქაური ოლქის უფროსის განკარგულებით ყოველ წლივ წყალ დიდობის დროს თითო მდინარეზედ აყენებენ სამ ოთხ ყარაულს, წყალში გამსვლელ-გამომსვლელისთვის მისაშველებლად.

**ა. დარეჯანაშვილი.**

# ჩამორჩენილთა მოსარჩლე

(ა. ჰ ე რ ც ე ნ ი)

(დასასრული *)

ყველას ეცოდინება ქართველობის ჩამორჩენის მიზეზი, ყველა მიხვდება, რა გვიშლის ხელსა: ფრთები გვაქვს, თუმც არც ძალიან ძლიერი, მაგრამ განავარდებას გვიშლიან, სურვილსა და ბოლმას გულშივე გვიტრიალებენ ზემოხსენებულ შავ-ბნელხანში ჰერცენს ზოგიერთი ამხანაგივით ზურგი არ შეუქცევია სინამდვილისათვის, ყოველთვის უპირატესობას საპოლიტიკო და სოციალ საკითხებს აძლევდა, ამხანაგების გატაცება განყენებული საგნებითა იმდენად არ ეპიტნავებოდა და ცალკე წრე დაარსა. 1834 წელს წრის წევრნი დაიჭირეს, თუმცა ყურადღების ღირსი მიზეზი ვერა მოსდეს რა. ჰერცენი ჯერ ქალ. პერმს გაჰგზავნეს, შემდეგ ვიატკასა, სადაც გუბერნატორის კანცელარიაში მუშაობდა. 1840 წელს ჰერცენისათვის მთავრობას ნება დაურთავს მოსკოვს დაბრუნებისა. აქ დაჰხვედრიან ძველი ამხანაგები, გატაცებულნი ჰეგელის ფილოსოფიით. ისინი გაცხარებით ამტკიცებდნენ ყველაფრის გონიერებას, რაც არსებობდა. რასაკვირველია ეს დებულება მონობასაც ადასტურებდა და აბა, ჰერცენი, რაღა ჰერცენი იქნებოდა, ამის წინააღმდეგ არ ამხედრებულიყო. ამის გამო უსიამოვნობაც კი მოუვიდა რუსის განთქმულ კრიტიკოს ბელინსკისთან, რომელიც იმ დროს ძლიერ გაეტაცა ჰეგელის ფილოსოფიას.

ჰერცენი ერთ დროს ნოვგოროდს იყო გადასახლებული და პოლიციაც თვალ-ყურს ადევნებდა. შემდეგ იგი გადმოსახლდა მოსკოვს. 1847 წ., მამის სიკვდილს შემდეგ, ჰერცენი ცოლიანად უცხოეთს გაემგზავრა და აღარც დაბრუნებულა რუსეთში. 1848 წელს მან მონაწილეობა მიიღო პარიზის რევოლუციაში, დაუახლოვდა პრუდონს და ევროპის რადიკალებს. შემდეგ ჰერცენი დაჰმეგობრებია იტალიის განმანთავისუფლებელთ—გარიბალდისა და მაძინის. ჰერცენმა დაიწყო ცხოვრება შვეიცარიაში, სადაც ყველა ქვეყნის რევოლუციონერებს მოეყარათ თავი. ამავე დროს რუსის მთავრობამ ჰერცენს სახლში დაბრუნება მოსთხოვა. კარგად იცოდა, რაც მოელოდა, ამიტომ შვეიცარიის ქვეშევრდომობა მიიღო და სამუდამოდ დაჰკარგა საშუალება სამშობლოს ხილვისა. მისი საზრუნავი კი იგი ყოფილა ყოველთვისა.

1852 წელს ჰერცენს ცოლი მოუკვდა, ძალიან დაღონებული იყო და შემთხვევით ლონდონში ამოჰყო თავი. 1856 წელს ლონდონშივე ჩავიდა მისი გულითადი მეგობარი ოგარევი. მათ გადასწყვიტეს თავისუფალი სტამბა დაეარსებინათ და მოაგვარეს კიდეც საქმე. 1857 წელს ამავე სტამბაში დაიწყეს ბეჭდვა განთქმულის „კოლოკოლისა“. მაშინ უკვე სხვა დრო დამდგარიყო. ნიკოლოზ I გარდაიცვალა და ალექსანდრე II გამეფდა. ყველას რიღაცის იმედი აღეძრა, გაზაფხულის სიო ჰბერდა. განსაკუთრებით ყველას ეინტერესებოდა ბატონ-ყმობის მოსპობის საკითხი, ყველა დღე-დღეზე ელოდა რეფორმასა. ჰერცენის ორგანო „კოლოკოლი“ სწორედ მისწრება იყო და ძალიანაც გავრცელდა, დიდი გავლენა მოიპოვა. ჰერცენის მოთხოვნილება შემდეგი იყო: სიტყვის ცენზურისაგან განთავისუფლება, გამათრახების მოსპობა და გლეხთა განთავისუფლება. საქმემ ძალიან გაიტაცა და საპოლიტიკო რეფორმები არც კი მოუთხოვნია პირველ დროებში. „კოლოკოლმა“ რუსეთში დიდი გავლენა მოიპოვა, თითქმის დაუმალავად შემოჰქონდათ და ყველას ეშინოდა მისი მსჯავრისა. „კოლოკოლის“ მსჯავრისა ეშინოდათ თვით მინისტრებსაც. თუ ვისმე თანამდებობის პირის დაშინება სწადდა, ეტყოდა, „კოლოკოლთან“ გიჩივლებო. გლეხთა განთავისუფლების საქმისათვის შემდგარ კომისიის წევრებს ყოველთვის საწერ მაგიდაზე ედოთ „კოლოკოლი“, ანგარიშს უწევდნენ, რჩევას ყურს უგდებდნენ. დიდია როლი „კოლოკოლისა“ გლეხთა განთავისუფლებაში და მოსახსენებელია მედგარი ბრძოლა ამ რეფორმის მოწინააღმდეგეებთან. ბოლოს გამარჯვება ხვდა, წადილი აუსრულდა.

როდესაც ჰერცენმა ბატონ-ყმობის გადავარდნის ამბავი გაიგო უცხოეთში, ალექსანდრე II თვით მიესალმა: „გამარჯვება გხვდა, გალილეველოო“.

მაგრამ ცხოვრება წინ მიდიოდა. რუსეთის რადიკალებს ის ვეღარ დააკმაყოფილებდა, რასაც ჰერცენი მოითხოვდა. გამოვიდნენ „დიკვნის შვილები“, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, რომელნიც სოციალიზმს და რევოლუციას ჰქადაგებდნენ. ესენი ჰერცენს არ ემადლიერებოდნენ, ვერ შეეწყვნენ და გაისმა რადიკალების პროტესტი. „კოლოკოლს“ ყველანი ემდურებოდნენ: პროგრესისტები, რადიკალები, ლიბერალები, კონსერვატორები და სხვანი. გარნა ჰერცენი თავისას განაგრძობდა და თუმცა ბაზაროვებს ვერ შეეწყო, მაინც იმედი ჰქონდა მომავალში შეთანხმებისა. მაგრამ 1863 წელს მოხდა პოლონეთის აჯანყება. აჯანყების საქმეს თანაუგრძნობდნენ რუსის რადიკალებიც. ჰერცენმა, ბაკუნინის ჩაგონებით, „კოლოკოლში“ ცხარე წერილები დაბეჭდა პოლონელთა სასარგებლოდ. ამან ძლიერ შეუწყო ხელი მის დაცემას, რადგან რუსის საზოგადოებაში პატრიოტიზმმა გაიღვიძა და პოლონეთს ზურგი შეაქცია. ემდურებოდნენ „კოლოკოლსაც“ და წინად თუ 3 ათასი ცალი ვრცელდებოდა, ეხლა 500-ღა იბეჭდებოდა. პოლონელნი დაამარცხეს. ჰერცენი შვეიცარიაში გადასახლდა; იგი გარდაიცვალა პარიზში 1870 წლის 9 იანვარს.

ასეთი იყო შესანიშნავი ადამიანის და მამულიშვილის ცხოვრება. „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“.

ჰერცენი ახლანდელი სოციალისტების მამამთავრად უნდა ჩაითვალოს. მან გამოსცადა პარიზის რევოლუცია, ბურჟუაზიის როლს გაეცნო და საშინლად შეიძულა, მოსისხლე მტრად გადაექცა. ჰერცენს მთლად ევროპაში ბურჟუაზია-ს, „მეშჩანობის“ ბატონობა დახვდა და გული გაუტეხა, სასო წარუკვეთა, აფიქრებინა, ევროპა დაღუპვის გზას დასდგომია, ფულის ვეშაპის მონად გადაქცეულა, ვერა იხსნის-რაო. ამ აზრით არის გაჟღენთილი წერილი „ხმა გაღმა ნაპირიდან“. ევროპაში რომ ვერა ნახა ცხოველ-მყოფელი ძალი, თავის სამშობლოს მიჰმართა. ჰერცენს იგი სხვანაირად ეჩვენა. რუსეთი არა ჰგავს კერძო საკუთრებაზე აგებულ ევროპასაო. იქ სცხოვრობს ახალგაზდა ხალხი, რომელიც ეხლა იწყებს ცხოვრებას, თუმცა დიდება მოელის. რუსეთში ჯერ კიდევ არის, არ გამქრალა სათემო მფლობელობა. იგი შეიძლება სოციალიზმში გადასასვლელ საშუალებად მივიჩნიოთ. ამნაირად საძირკველს ჩაუყრით კომუნიზმსა. რუსეთსა ჰხვდა ამ დიადი მიზნის შესრულება და შეასრულებს კიდეც. სლავიანობას არ მოსწონს ცენტრალიზმი და ამიტომ მომავალი საზოგადოება ფედერალიზმის პრინციპზე აშენდებაო,—ამბობდა ჰერცენი.

ჰერცენი დიადი კრიტიკოსი იყო ბურჟუაზიული წესწყობილებისა და საშინლად სძულდა. ზოგს გაუკვირდება უცხოობა ჰერცენისა და მარქსისა, რადგან ერთ დროს მოღვაწეობდნენ. მათი დაახლოვების დამშლელი ერთი გარემოება იყო: მარქსმა ჭორები გაავრცელა ჰერცენის ამხანაგის ბაკუნინის თაობაზეო. მაგრამ მიზეზი უფრო ღრმაა. ჰერცენი დიდად აფასებდა პიროვნებას, ბევრიც დაუწერია მის გამო და ამიტომ მარქსიზმს ვერ შეურიგდებოდა—იგი ხომ უარჰყოფს პიროვნების როლსა და მნიშვნელობას. შესანიშნავია ჰერცენის რომანებიც; „ვისი ბრალია“? „ექიმი კრუპოვის შენიშვნები“, „სოროკა-ვოროვკა“ და სხვა. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა მისი საპუბლიცისტო მოღვაწეობა. ჰერცენის ნეშთი უცხოეთში განისვენებს, სამშობლოს გარედ. სამშობლოს შეალია ძალღონე, მისთვის იღვწოდა. აბა, ყური დაუგდეთ ჰერცენის მიმართვას სამშობლოსადმი, რა ძლიერი სიყვარული და გრძნობა გამოსჭვივის: „ნება მოგვეცი შორს გარდახვეწილ შენს შვილებს, ძლიერად შენს მოყვარულთ, მოგვეცი საშუალება თავის მაღლა აწევისა, შენის დაცვისა, მოსარჩლეობისა და დაუფარველ სიყვარულისა... განბანე თავი შენი კატკოვისაგან, პირი მოიწმინდე—შენ ბაგეებს მურავიოვის საზიზღარი დაღი აჩნევიაო“. აი, ასეთი იყო კოცნის დიდებული ადამიანი, ვისი სახელი ცეხლა რუსის ყოველ ინტელიგენტს ენაზე აკერია... **რაჭველი.**

* იხ. „სახალხო გაზეთი“ № 562.

# სხვა და სხვა ამბავი

—**რუსეთი და ოსმალეთი.** „გოლოს კავკაზას“ დეპეშით აუწყებენ: „ვეჩერნეე ვრემიას“ დეპეშა მიუღია, ვენის გაზეთს „ცაიტს“ სტამბოლიდან ცუდი ამბები მოჰსვლიაო. ოსმალნი თურმე რუსეთთან უთანხმოების ჩამოვარდნას მოელიან. მოხალისეთა ფლოტის მთავარ გამგეობასაც ბრძანება მისვლია, ყველა გემები რუსეთის ნავთსადგურებში მოაგროვეთ და ჯარის წასაყვანად მზადა გყავდეთო. ამ ფლოტის უფროსს განუცხადებია, ბარგის გადაზიდვას ვეღარ ვიკისრებთ, რადგანაც შეიძლება ოსმალეთთან უთანხმოება ჩამოვარდეს და მისვლა-მოსვლა შევწყვიტოთო. ოსმალეთის გემები დღე და ღამ ეზიდებიან იარაღს შავი ზღვის ფლოტისათვის. თოფხანა დიდ ფაციფუცშია.

ვენაში ხმა დავარდნილა: რუსეთი ომისათვის ემზადება და იტალიასაც შეუთანხმდაო. სახელმწიფოთა შუამავლობამ ვერაფერი გაწყო და ომი ვერ შეაჩერა, რადგანაც უკანასკნელ ხანს პეტერბურგის კაბინეთმა ხელი აიღო შუამავლობაზეო. ამბობენ, რუსეთზე იტალიამ იმოქმედა და ეს ორი სახელმწიფო შეთანხმდა. რუსეთის სამინისტრომ დღე [illegible] მომცემმა [illegible].

# გაფიცვები.

დ ე პ ე შ ე ბ ი

**ლონდონი** მუშათა კომიტეტის მოწოდებით მუშები უკვე დაადგნენ საქმეს. მუშაობას ყველგან ორშაბათს დაიწყებენ. რკინის გზაზე მიმოსვლა განახლდა.

**ლორიანი.** ნავთსადგურის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს და გემთა ამგებ ქარხნების მუშებიც მიიმხრეს.

**ლონდონი.** ტონნა (12 ფუთია) ნახშირის ფასს 10 შილინგი (შილინგი 46 კ. უდრის) დააკლეს, აქამდე მემანქანენი არა მუშაობდნენ და ეხლა ისინიც დააკმაყოფილეს.

# ოსმალეთ-იტალიის ო მ ი

დ ე პ ე შ ე ბ ი

**რომი.** სტეფანის სააგენტო იუწყება: გუშინ იტალიელებმა ლიბიის ნაპირთან ნახევარი კუნძული კაკაბეცი დაიპყრესო. რაზმს შემდეგ უბრძოლველად აუღია ბუშელკის სიმაგრე.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

31 მარტი.

**რომის პაპი.**

**რომი.** ამას წინად ხმა გავრცელდა, რომის პაპი გარდაიცვალაო. ეს ამბავი ტყუილია, რადგან პაპმა რამდენიმე წარჩინებული აუდიენციაზე მიიღო.

**ოსმალეთის არჩევნები.**

**სტამბოლი.** აქამდე აურჩევიათ 77 დეპუტატში მათში „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წევრია. ამომრჩეველთა არჩევნები სწარმოებს პოლიციისა და ჟანდარმების თანადასწრებით, რომელნიც საარჩევნო ბიუროს სადგომში იმყოფებიან. ამომრჩევლებს კომიტეტის კანდიდატთა სიას აჩეჩებენ. ოპოზიციონერები მონაწილეობას არ ღებულობენ. ასეთ პირობებში, კომიტეტლები გაიმარჯვებენ.

**ირლანდიის ჰომრული.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. რედმონდი ნაციონალისტების სახელით, ხოლო მაკდონალდი მუშათა სახელით სიამოვნებით მიეგებნენ ირლანდიის ჰომრულს.

ასკვიტმა ჰომრულის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: ინგლისის პარლამენტში ირლანდიას მხოლოდ 42 წარმომადგენელი ეყოლებაო. ირლანდიის პარლამენტს უფლება ექნება სააქციზო და საბაჟო გადასახადთა გაუქმებისა. ასკვიტმა უპასუხა იმათ, ვინც ამბობდნენ, მთავრობამ ნაციონალისტების გავლენით შემოიტანა ბილლიო, ბილლი მთავრობის პატიოსან მოსაზრების მრწამსის ნაყოფიაო. ირლანდიის უნიონისტთა ბელადმა კარსონმა ბილლს კარიკატურა უწოდა: იგი ფანტასტიურია და მასში დასახელებული გარანტიები—დამაკმაყოფილებელი ვერ არისო. კანონ-პროექტის დაწვრილებით მხარეს ბევრი ვერ იცნობს, რაიც ტექსტის დაბეჭდვის შემდეგ გამოირკვევა. ლიბერალები და ნაციონალისტები მომხრენი არიან ირლანდიის ჰომრულისა.

**ხორვატიის ვითარება.**

**ზაგრები.** წინასწარ ცენზურის სისასტიკის გამო, ხორვატელთა ორი გაზეთი ვეღარ გამოსულა. საკოალიციო ორგანო „პოკრეტის“ რედაქცია გაჩხრიკეს. ბევრი ხელთნაწერი წაუღიათ. მთავრობის კომისარმა ცუვაიმ გამოაცხადა, ცრუ ხმების გამავრცელებელნი სასტიკად დაისჯებიანო. ოსეკის სათემო საბჭო დაითხოვეს, რადგანაც მთავრობის მიერ წამოყენებულ საბურგომისტრო კანდიდატის ამორჩევა არ მოისურვა.

**რუზველტის კანდიტატურა.**

**ბანგორი.** მენის შტატის რესპუბლიკელთა კონვენტმა საპრეზიდენტო კანდიდატად რუზველტი გამოაცხადა.

**ბეისიტი.** მიჩიგანის შტატის რესპუბლიკელთა კონვენტზე რუზველტისა და ტაფტის მომხრეთ ჩხუბი ასტეხეს. პოლიციამ და მილიციამ წესიერება ძლივს აღადგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ავსტრია-ჰუნგრეთის პარლამენტი.**

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატის სხდომები დაიწყო. იუსტის პარტია ობსტრუქციებს ჰმართავს სამხედრო პროექტების წინააღმდეგ.

**ხუნხუზთა თავდასხმა.**

**ხარბინი.** შანშისა და სანდავოდის სადგურს შუა მდგარ ჩინელთა მოსაზღვრე რაზმს 30 ხუნხუზი დაეცა. ხუნხუზები ვაგონებში შეცვივდნენ, ჩინელი მგზავრები გაძარცვეს, გაქანებულ მატარებლიდან გადახტნენ და მიიმალნენ.

## რ უ ს ე თ ი

**ამომრჩეველთა კრება.**

**კიევი.** ვოლინის ამომრჩევლებს კრება ჰქონდათ არქიეპისკოპოს ანტონის თავმჯდომარეობით, გადასწყვიტეს მხოლოდ ნაციონალისტებს მიემხრნენ და ოქტომბრისტებსაც არ მისცენ მხარი. გადასწყვიტეს აგრედვე შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვონ, გამოჰყოს ცალკე კურიად ებრაელები და საზოგადოდ „ინოროდცები“.

**სამეურნეო იარაღების შემოტანის საკითხი.**

**პეტერბურგი.** წელს, პირველ აპრილიდან, ისპობა დროებითი წესები სამეურნეო იარაღის უცხოეთიდან შეღავათიან პირობებით შემოტანისა და მყარდება ახალი, ვიდრე სათათბირო და სახელმწიფო საბჭო ახალს კანონს დაამტკიცებდეს.

# თეატრი და ხელოვნება

**ნაძალადევის თეატრში** დღეს გ. ნ. სუნდუკიანცის ხსოვნის აღსანიშნავად ბ-ნ სვ. სვიმონიძის რეჟისორებით სდგამენ **„პეპოს“**. სვ. სვიმონიძე წაიკითხავს სუნდუკიანცის ბიოგრაფიას.

**ნაძალადევის თეატრი.** ხუთშაბათს 22 მარტს ნაძალადევის ს. ს. წრემ ბ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინა ბაჯიაშვილის 3 მოქ. დრამა **„სიმდიდრის მსხვერპლი“** და 1. მოქ. კომედია **„ჭკუისა მჭირს“**. წარმოდგენამ დიდ ძალი ხალხი მიიზიდა. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხითა, წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

**კაკი.**

**სომხური წარმოდგენა.** მარტის 28-ს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში სომხურ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ გამართულ იქმნა სომხური წარმოდგენა გ. სუნდუკიანის სახსოვრად. ითამაშეს განსვენებული დრამატურგის „პეპო“. წარმოდგენის დროს სიტყვა წარმოსთქვეს ქალაქის თავმა ა. ხატისოვმა და სომხის მწერალმა შირვანზადემ. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო.

**„მეფე ედიპი“ სახაზინო თეატრში.**

სოფოკლესი ერთი უდიდესი ტრაგიკოსია ძველი საბერძნეთისა. მან სარწმუნოებრივ რიტუალის ნიადაგზე აღმოცენებული ტრაგედია განავითარა, ჩაჰბერა ადამიანთ სული და ცხოვრებას დაუახლოვა. თანამედროვე სადრამო ტეხნიკის თვალ-საზრისით თუ შევხედავთ სოფოკლეს ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არა ბუნებრივად მოგვეჩვენება, მაგრამ ისტორიულ პერსპექტივის თვალსაზრისით იგი დიდს რეფორმატორად უნდა ჩაითვალოს. სოფოკლესი თავის დროისთვის განათლებული კაცი იყო. კარგად იცნობდა ისტორიკოსს ჰეროდოტეს, ასე რომ ისტორიულის მასალით მან თავისუფლად შეეძლო ესარგებლა. გამოჩენილი ტრაგიკოსები იყვნენ ესქილი და ევრიპიდი, მაგრამ, გამოვიდა თუ არა ასპარეზზე ახალ-გაზდა სოფოკლესი, პირველთა სახელი მაშინვე დაიჩრდილა. სოფოკლესი შესანიშნავია არა მარტო თავის ინდივიდუალურ შემოქმედებით, არამედ იმითაც, რომ გააუმჯობესა ტეხნიკური მხარე ტრაგედიისა. როგორც უკვე ვსთქვით, საბერძნეთში ტრაგედია სარწმუნოებრივს ნიადაგზე აღმოცენდა. ამიტომ განვითარების პირველ ხანებში საბერძნეთის ტრაგედიას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა: იგი უფრო სარწმუნოებრივი რიტუალი იყო, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები. სოფოკლესმა ტრაგედიას შინაარსი შეუცვალა და ამ შეცვლილ შინაარსის მიხედვით თეატრისა და წარმოდგენის გარეგანი მხარეც შესცვალა: გაამრავლა მომქმედ პირთა რიცხვი, შეასუსტა მოქმედება გუნდებისა, გააუმჯობესა დეკორაციები! ერთის სიტყვით, ტრაგედიას მეტი რეალური ხასიათი მისცა. დიონისის კულტზე აღმოცენებული სარწმუნოებრივი რიტუალი ამ რიგად მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებულ ნაწარმოებად აქცია. სწორედ ამაშიც არის უმთავრესი ძალა სოფოკლეს ტრაგედიებისა. მიუხედავად ამისა ყველა დამახასიათებელი თვისებანი საბერძნეთის ტრაგედიისა სოფოკლესის ტრაგედიებშიაც დარჩა.

„მეფე ედიპი“, სოფოკლეს საუკეთესო ტრაგედია, რომელიც კვლავ აღადგინეს სცენაზე და რომელიც ამ ჟამად ტფილისშიაც სდგამენ ჩვენი თანამემამულეს, ბ-ნ კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით, ერთ იმ ნაწარმოებთაგანია, რომელშიაც აღიბეჭდა ერთის მხრით ინდივიდუალური შემოქმედება თვით ავტორისა, მეორის მხრით მსოფლმხედველობა საბერძნეთისა.

ბედი, „მოირა“, ადამიანს ყოველთვის თავს დასტრიალებს. ღმერთები განაგებენ ადამიანით, რომელიც თავის ცხოვრებაში განიცდის ბედით დადებულ ტანჯვასა თუ სიხარულს. მეფე ედიპი კეთილ-შობილი მმართველია, იგი ხალხისთვის ზრუნავს, ხალხიც ნდობით ექცევა თავის მმართველს. მაგრამ ერთს დროს უბედურება დატრიალდება. ქვეყანას შავი ჭირი მოედება, შეშინებული ხალხი თავის მმართველს შველასა სთხოვს. ედიპი შეწუხებულია, უნდა როგორმე დაიხსნას ხალხი განსაცდელისაგან. ორაკული უწინასწარმეტყველებს ედიპს, რომ განსაცდელის მოსაშორებლად საჭიროა ქალაქიდან განიდევნოს ცოდვილი ადამიანი, მკვლელი ლათასი. მკვლელის აღმოსაჩენად მეფე ედიპი მოიწვევს მისანს ტერეზის, რომელიც ეტყვის, რომ მკვლელი თვით მეფე ედიპია. მეფეს არ სჯერა, არ სჯერა იმიტომ, რომ განზრახ არავინ მოუკლავს. მაგრამ ბედს ისე გადაუწყვეტია, რომ მან შემთხვევით მოჰკლა თავისი მამა, შეირთო ცოლად თავისი დედა, რომელმაც აჩუქა შვილები, და ამრიგად საშინელი ცოდა დაიდო კისერზე. ყველაფერი ეს ტრაგედიის დასასრულს აღმოჩნდება. ბედით განწირული ედიპი უბედურად ათავებს თავის მეფობას: მისი ცოლი და დედა თავს ჩამოიხრჩობს, თვითონაც დაბრმავებული თავს დაანებებს სამშობლო მხარეს.

მეფე ედიპი უძლურია თავიდან აიცდინოს ის უბედურება, რომელიც ღმერთებს მისთვის განუმზადებიათ.

ასეთია მოკლედ შინაარსი სოფოკლესის საუკეთესო ტრაგედიისა.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლის. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. ნ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


# განცხადებანი

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ —11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.48)

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1646.40)

**სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა; სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.** (100—1615—45)

**დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე**
სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.
**„ბ ი ო რ ბ ი ს შ რ ო მ ა“**
სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.
დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—18)

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანუარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.**
იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2. (25—285—19)

**ხუდადოვის ტყეში (ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ შ ი)**
როგორც წარსულ წელს, წელსაც აღდგომიდან გაიხსნება პავილიონი **„მთის ნიავი“** (Горный вѣтерокъ).
არის ყოველნ. საუკეთ. გასაგრილ. სასმელები, ლუდი (პივა) და საცივი საუზმე. პავილიონთან მოწყობილია ხეივნები და მშვენიერი ჩრდილები. (6.320.4)

**ხელოვნურად შეზავებული სამკურნალო და ხილეულობის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ.**
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.
**გემო და სუნი საამური აქვს.**
ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.
ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411, ქუთაისში პუშკინის ქუჩა № 5.** (25.1160.5)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე**
**✦ წელიწადი მერვე. ✦**
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აჯვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოსიაშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—627—50 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს ბის ძე თუმანიშვილი.**

**ყოველ-დღე მოგვდის:**
**ახალ-ახალი** ქვირითი 2 მ. 60 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა, 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი (წ.—1131—28)

**თევზის მრეწველნი ძმ. ძევლოვები.**
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.

**იმერული შამპანიური ღვინოები, ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,
„კ ო ლ ხ ი დ ა“ და „თ ა მ ა რ ა“
მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.
ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (17—6.6)

**გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა**
**თ. მთავრიშვილისა** და ამხ. **წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში) და წ.-კ. საზოგადოებისა და ი. მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კიტა აბაშიძის** ახლად გამოცემული თხზულება: **„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.**
ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—8)

2, 3, 4, 5, და 7 აპრილს
**კვირაცხოვლობის კვირაში**
**„ფომინობას“ პ. ს. დოროფეევის მაღაზიებში:**
1) სოლოლაკის ქუჩა, სახ. გურგენოვისა, ტელეფონი № 583.
2) მიხეილის ქუჩა. ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, ტელეფონი № 848.
ყოველწლივ მიღებულ ჩვეულებისამებრ კვირაცხოვ. კვირაში
ე. ი. 2 3, 4, 5, 6 და 7 აპრილს
**მხოლოდ ექვს დღეს**
**იწარმოებს**
**უდიდესი იაფი ვაჭრობა.**
წელს განსაკუთრებით **იაფი ფასები დავადეთ** შარშანდელს საზაფხულო სეზონიდან დარჩენილ საქონელს.
ნამეტნავად უიაფესად გაიყიდება
**სატანისამოსე და საკაბე ჩითეული, ტილო, სამი აბაზის მაგიერ არშინი ხუთ შაურად.**
მზა-მზარეული კაბები ტილოსი, ბატისტისა და სხვა
**გასაოცარ იაფ ფასად,**
ხალათები და პერანგები ქალისა საზაფხულო წარსულ სეზონიდან დარჩენილი
**ნახევარ ფასად გაიყიდება.**
**ქალების ქოლგებისა ზღაპრო იაფად,**
ტ რ ი კ ო მამაკაცთა და ქალთა ტანისამოსისათვის რადგანაც წარსულ სეზონისა დიდ ძალი საქონელი დაგვრჩა,
**მეტის-მეტად იაფ-ფასად გაიყიდება**
**აუარებელი დარჩენილი საქონელი:**
შალისა, აბრეშუმისა, მაუდისა, ტილოსი, ბამბის საგანგებო ქსოვილების თეთრეულისა, ყოველგვარი საზაფხულო ქსოვილები და სხვა, გაიყიდება
**გასაოცარ იაფ ფასად.**
ყველა ფანჯრებში გამოფენილია ნიმუშები ყველა განყოფილებიდან.
**საზღაპრო იაფ ფასების აღნიშვნით.**
**განუწყვეტლივ მოგვდის საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონის ახალ-ახალი საქონელი!**
(1.1183.1) **პ. დოროფეევი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.